# უნივერსიტეტი

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაზეთი

#4 (59) 2016


# თსუ – ცვლილებების პირისპირ





გასული თვის განმავლობაში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი სტუდენტური ვნებათაღელვის ადგილად იქცა. აქციები და მათი თანმდევი პროცესები არაერთმა მედია-საშუალებამ გააშუქა და მოვლენათა ქრონოლოგის გაცნობით თავს აღარ შეგაწყენთ. ამჟამად, 23 მარტს, როცა გაზეთი „უნივერსიტეტის“ დღევანდელი ნომერი მზადდებოდა, თსუ-ში ვნებები შედარებით დამცხრალია, თუმცა კითხვები არ არის მოხსნილი. ჯერჯერობით უნივერსიტეტს არ ჰყავს კანცლერი და კონკურსი ამ პოსტზე, სავარაუდოდ, თავიდან გამოცხადდება; სტუდენტები („აუდიტორია 115“ და თსუ სტუდენტური თვითმმართველობა) ერთმანეთისგან დამოუკიდებლად აგრძელებენ შეხვედრებს და აყალიბებენ მოთხოვნებს - ერთი მხარე აკადემიური საბჭოს დაშლას ითხოვს, მეორე - რექტორის გადადგომას; აკადემიური საბჭო, რომელიც ამ დღეებში ორმა წევრმა დატოვა და, ზოგადად, როგორც კოლეგიალურ ორგანოს ჩვევია, არ არის ბოლომდე ერთსულოვანი, ამზადებს პასუხს განათლების სამინისტროს აუდიტის სამსახურის დასკვნაზე, რომელშიც არ იზიარებს სამინისტროს პოზიციას; საბჭო მსჯელობს პასუხისმგებლობების საკითხზე და არ აპირებს თვითდაშლის გამოცხადებას; თსუ რექტორი, თავის მხრივ, გადადგომის მოწოდებას არ იზიარებს და ცდილობს კრიზისული სიტუაციიდან უნივერსიტეტის გამოყვანას. განათლების სამინისტრო სტუდენტებთან კონსულტაციებს აგრძელებს. ჩვენ დღეს სტუდენტების, რექტორის, აკადემიური საბჭოს წარმომადგენლის, ასევე პროფესორ-მასწავლებელთა საინიციატივო ჯგუფის ხედვებს გთავაზობთ. ასევე შემოგთავაზებთ უნივერსიტეტის მიერ მომზადებულ რეკომენდაციებს საკანონმდებლო ცვლილებებთან დაკავშირებით.

## „ყველაზე მთავარი არის ის, რომ ახალგაზრდებმა აჩვენეს თავიანთი ინტერესი უნივერსიტეტისადმი...“



გვ. 3

## „ყველაზე დიდი დანაშაული ინერტულად ყოფნაა და მიდგომა – „რაც მოხდება და მოხდეს“



გაგრძელება მე-2 გვ.

## „პრობლემა როგორც პერსონებშია, ისე მმართველობის არჩევის წესში“



გაგრძელება მე-2 გვ.

## „უნივერსიტეტის ადმინისტრაციის თანამშრომლები უნდა იყვნენ დაცული“



გაგრძელება მე-3 გვ.

## თსუ პროფესორთა საინიციატივო ჯგუფის განცხადება

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ბოლო დროს განვითარებული მოვლენების დროს თსუ პროფესორების მიერ ჩამოყალიბებული საინიციატივო ჯგუფი შეხვდა სტუდენტთა ორივე მხარეს, აკადემიურ საბჭოს, რექტორს.

შეხვედრების შემდეგ საინიციატივო ჯგუფმა განცხადება გაავრცელა: „თსუ-ში არსებული მდგომარეობიდან გამომდინარე, პროფესორთა საერთო კრების მიერ არჩეულმა საინიციატივო ჯგუფმა მიმართა აკადემიურ საბჭოს კონკრეტული წინადადებებით. პროფესორთა საინიციატივო ჯგუფი მიზანშეწონილად მიიჩნევს, პირველ რიგში, განხორციელდეს ის ქმედებები, რომელთა საშუალებასაც იძლევა თსუ-ს წესდება; კერძოდ,

1. მოკლევადიანი ქმედებები:

ა) აკადემიური საბჭოს რეორგანიზაცია;

ბ) ადმინისტრაციის ხელმძღვანელის კონკურსის გამოცხადება;

გ) ადმინისტრაციის საშტატო განრიგის აუდიტი.

2. გრძელვადიანი ქმედებები:

გადაიდგას ქმედითი ნაბიჯები უნივერსიტეტის რეალური ავტონომიის შექმნისა და განმტკიცებისათვის.

პროფესორთა საინიციატივო ჯგუფი მზად არის, აღნიშნულ საკითხებზე იმუშაოს აკადემიურ საბჭოსთან, სენატსა და პროფესორ-მასწავლებლებთან, სტუდენტებთან,“- ნათქვამია განცხადებაში.

# თსუ-ს წინადადებები საკანონმდებლო ცვლილებების თაობაზე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს აქვს სურვილი - დასვას საკითხი „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში (შემდგომ ტექსტში - „კანონი“) გასათვალისწინებელ ცვლილებებთან დაკავშირებით.

აუცილებელია ხაზი გაესვას ერთ უმნიშვნელოვანეს საკითხს, რომელიც დაკავშირებულია სახელმწიფოს მიერ დაფუძნებულ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მთავარი მართვის ორგანოსთან, დაწესებულების ხელმძღვანელისა და აკადემიური საბჭოს თავმჯდომარის - რექტორის (რექტორის მოვალეობის შემსრულებლის) არჩევის საკითხთან. კანონის 22-ე მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ხელმძღვანელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით **ირჩევს აკადემიური საბჭო** ფარული კენჭისყრით, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წესდებით განსაზღვრული ვადით, მაგრამ არა უმეტეს საბჭოს უფლებამოსილების ვადისა.“ ხოლო, ამავე მუხლის მე-9 პუნქტის თანახმად კი, „საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რექტორის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში **რექტორის მოვალეობის შემსრულებელს ირჩევს** საარჩევნო კოლეგია, რომლის შემადგენლობაში შედის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების **აკადემიური ან სამეცნიერო თანამდებობის მქონე ყველა პირი**, რომლებსაც აქვთ დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი.“

ჩვენი აზრით, კანონი შეიცავს სრულიად მიუღებელ და ალოგიკურ ჩანაწერს, იქიდან გამომდინარე, რომ დაწესებულების რექტორი, რომელიც აირჩევა წლების ვადით (თსუ-ს შემთხვევაში 4 წლით), აირჩევა აკადემიური საბჭოს მიერ, რომელიც თსუ-ს შემთხვევაში შედგება ფაკულტეტებიდან არჩეული 14 წევრისგან, მაშინ როდესაც რექტორის მოვალეობის შემსრულებელი აირჩევა გარკვეული გარდამავალი პერიოდით (დაწესებულების რექტორის არჩევამდე პერიოდით, დროებით მოვალეობის შემსრულებლად) საარჩევნო კოლეგიის მიერ, რომელშიც შედიან დაწესებულების სამეცნიერო და აკადემიური თანამდებობის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი, რაც, თსუ-ს შემთხვევაში, მასშტაბური არჩევნების ჩატარებას, კერძოდ კი, რექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2000-მდე პირის მიერ არჩევას გულისხმობს (ამასთან, ჩვენი ინფორმაციით, ზემოაღნიშნულ საკითხთან მიმართებაში სახელმწიფოს მიერ დაფუძნებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებშიც, დაახლოებით, იგივე მდგომარეობაა). ხსენებულიდან გამომდინარეობს, რომ რექტორი, თსუ-ს შემთხვევაში, აირჩევა 14 პირის მიერ, ხოლო რექტორის მოვალეობის შემსრულებლის არჩევას კი ესაჭიროება ასობით პირის მიერ არჩევნებში ამომრჩევლის სტატუსით მონაწილეობის მიღება. თავისთავად, უფრო ლოგიკური და მისაღებია - ზემოხსენებული საკითხი იყოს რეგულირებული პირიქით - კერძოდ, რექტორი აირჩეოდეს აკადემიური ან სამეცნიერო თანამდებობის მქონე ყველა პირის მიერ, ხოლო რექტორის მოვალეობის შემსრულებელი - აკადემიური საბჭოს მიერ. შესაბამისად, მიზანშეწონილია კანონის 22-ე მუხლის მე-6 და მე-9 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

ა) „6. საჯარო სამართლის იურიდიული პირის – უმაღლესი საგანმანათლებლო **დაწესებულების ხელმძღვანელს** საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით **ირჩევს საარჩევნო კოლეგია**, რომლის შემადგენლობაში შედის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების **აკადემიური ან სამეცნიერო თანამდებობის მქონე ყველა პირი**, რომლებსაც აქვთ დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი“.

ბ) „9. საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რექტორის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში **რექტორის მოვალეობის შემსრულებელს ირჩევს აკადემიური საბჭო თავისი შემადგენლობიდან**, ფარული კენჭისყრით, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით.“.

გაგრძელება მე-4 გვ.

# „ყველაზე დიდი დანაშაული ინერტულად ყოფნაა და მიდგომა – „რაც მოხდება და მოხდეს“

**გიორგი არობელიძე 21 წლისაა, პოლიტიკის მეცნიერების მიმართულების მეოთხე კურსის სტუდენტია. აინტერესებს პოლიტიკის თეორიები და აპირებს სწავლა მაგისტრატურაზე გააგრძელოს. ასევე დაინტერესებულია ადამიანის შრომითი უფლებებით და მომავალ კარიერასაც ამ სფეროში ხედავს. დღეს ის „აუდიტორია 115“-ის სტუდენტებს შორისაა და თავის ხედვებს გვიზიარებს იმაზე, თუ რა უნდა შეიცვალოს უნივერსიტეტში და როგორ:**



**– რა იქნება შემდეგ, რა განვითარება უნდა მოჰყვეს ამ მოვლენებს?**

ჩვენ გვაქვს სამი ძირითადი მოთხოვნა, რომელიც ყველაზე ფუნდამენტურ პრობლემებს ეხება. პირველი შეეხება სტუდენტური თვითმმართველობის რეფორმას. იგი არ შეეხება რომელიმე ერთ კონკრეტულ უნივერსიტეტს. ჩვენ გვინდა, რომ „კანონი უმაღლესი განათლების შესახებ“ შეიცვალოს. ცვლილების თანახმად, თვითმმართველობის ერთადერთ ფუნქციად განისაზღვრება წარმომადგენლობით ორგანოებში ყოფნა. თვითმმართველობებს აღარ უნდა ჰქონდეს მონოპოლია სტუდენტებისთვის გამოყოფილ რესურსებზე.

ამ შემთხვევაში ბუნებრივად შეიქმნება უნივერსიტეტში სტუდენტური კლუბები, ისე, როგორც ეს არის დასავლეთის უნივერსიტეტებში. ეს გულისხმობს, ინტერესების გარშემო გაერთიანებულ სტუდენტებს. მაგალითად, ლიტერატურის მოყვარულთა კლუბს, ან ასტროლოგიის მოყვარულთა კლუბს. ისინი, თავიანთი ინტერესებიდან გამომდინარე, ახორციელებენ პროექტებს და ა.შ. აქ ყველანაირი იერარქია წაშლილია. არ არსებობს მმართველი, იკრიბებიან ადამიანები, განიხილავენ, საუბრობენ, გეგმავენ, შეაქვთ ადმინისტრაციაში პროექტები. შეიძლება ასტროლოგიის მოყვარულთა კლუბს უბრალოდ ესაჭიროებოდეს ტელესკოპი, ან აბასთუმანში წასვლა. ადმინისტრაცია ამ მოთხოვნას განიხილავს, მსჯელობს რამდენად მიზანშეწონილია და ა.შ. მთავარი ამ ყველაფერში არის ის, რომ ყველა სტუდენტი იქნება თანაბარ პირობებში.

**– პროექტების დაფინანსების შესახებ გადაწყვეტილებას ვინ უნდა იღებდეს, რა კრიტერიუმებით უნდა გაიცემოდეს ფული?**

გადაწყვეტილებას უნდა იღებდეს კომისია. ჩვენ ვმუშაობთ იმაზე, თუ როგორ უნდა დაკომპლექტდეს ეს კომისია. ბუნებრივია, მისი საქმიანობა ეჭვს არ უნდა იწვევდეს, რომ რომელიმე ჯგუფის მიმართ არის მიკერძოებული. ვფიქრობთ, კომისია უნდა იყოს როტაციული. კრიტერიუმების შესახებ ჩვენ შევიმუშავებთ და წარმოვადგენთ ჩვენს ხედვებს. მათში, სავარაუდოდ, მთავარი იქნება სოციალური თემატიკა, ვინაიდან მიგვაჩნია, რომ ეს არის დღეს ყველაზე მთავარი საკითხი. ბუნებრივია ეს არ გამორიცხავს არც სამეცნიეროს და არც, მათ შორის, გასართობი პროექტების არსებობას. აქ მთავარია ის, რომ ყველა სტუდენტი იყოს ჩართული და ყველას შეეძლოს პროექტის გაკეთება.

**– ერთ-ერთ ინტერვიუში რექტორმა აღნიშნა, რომ იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტები წარმოადგენდნენ პროექტებს, დაფინანსების მიღების საშუალება დღესაც არსებობს. მაგალითებიც მოიყვანა. თქვენ თუ გიცდიათ, გამოგიყენებიათ თუ არა არსებული მექანიზმი და რა შედეგი მიგიღიათ ?**

ოფიციალურად ყველა სტუდენტს ჰქონდა საშუალება შეეტანა პროექტი და განეხილა ადმინისტრაციას. თუმცა, ადმინისტრაცია სტუდენტებს ამისამართებდა თვითმმართველობასთან და ეუბნებოდა, რომ ეს იყო თვითმმართველობის პრეროგატივა და მათ გარეშე ეს ამბავი არ გამოვიდოდა. რაც შეეხება ჩემს პირად გამოცდილებას. მე და ჩემს მეგობრებსაც გაგვიკეთებია საჯარო ლექციების ციკლი, მათ შორის ფორუმი, კონფერენცია, თუმცა ეს ყველაფერი მოვახერხეთ ისე, რომ უნივერსიტეტმა გამოგვიყო მხოლოდ ფართი და ფინანსურად არ დაგვეხმარებია, ჩვენ არც მოგვითხოვია. მაგრამ ვიცით მაგალითი - იყო შემთხვევა, რომ პირველკურსელმა შეიტანა ექსკურსიის პროექტი და ადმინისტრაციიდან იყო ასეთი პასუხი, რომ უნდა მიეკითხა თვითმმართველობისთვის და ეს დაფინანსება პირველკურსელმა ვერ მიიღო.

თუ თვითმმართველობის ერთადერთ ფუნქციად განისაზღვრება მხოლოდ უნივერსიტეტის მართვაში მონაწილეობის მიღება, მაშინ მნიშვნელობას დაკარგავს იერარქიის არსებობა, რომელიც დღეს არამარტო ჩვენთან, არამედ სხვა უნივერსიტეტებშიცაა. თუ ეს სტრუქტურა დაიშლება, ჩვენ დაზღვეულები ვიქნებით, რომ რომელიმე პოლიტიკურმა ჯგუფმა მოახერხოს ორგანიზებულად სტუდენტების მართვა. დღეს თვითმმართველობა აერთიანებს დაახლოებით ათას ადამიანს, რომელთაც აქვთ რაღაც რესურსებთან წვდომა და, ბუნებრივია, რომ ეს სტრუქტურა იძლევა იმის საშუალებას, რომ სტუდენტებზე მასობრივი კონტროლი დაამყაროს.

მეორე მოთხოვნა შეეხება „ოდეერის“ საკითხს. ეს არის ასევე ყველაზე პრინციპული მოთხოვნა. ჩემი აზრით, თუ უნივერსიტეტში იქნება „ოდეერი“, მერე ნაკლებ მნიშვნელოვანია თვითმმართველობის სტრუქტურა და ა.შ . თუ გარედან იმართება ყველაფერი - ეს წინააღმდეგობაში მოდის ავტონომიასთან და აკადემიურ თავისუფლებასთან.

ეს პრობლემა არ არის ლოკალური. „ოდეერი“ ფარულად თუ ღიად ერევა უნივერსიტეტის შიდა საქმეებში. ჩვენ ეს მიუღებლად მიგვაჩნია და ეს კანონთან მოდის წინააღმდეგობაშიც. არსებობს ერთადერთი ლოგიკური ახსნა, თუ რატომ უნდა იყოს ოდეერი უნივერსიტეტში - მისი საშუალებით რაღაცნაირად უნდა მოხდეს კრიტიკული აზრის კონტროლი. ჩვენი მოთხოვნაა, შეიქმნას დროებითი საპარლამენტო საგამოძიებო კომისია, ვინაიდან მიგვაჩნია, რომ ეს არის იმ მასშტაბის თემა, რომ უნდა დაინტერესდეს საკანონმდებლო ორგანო. ჩვენ სკეპტიკურად ვართ განწყობილნი სამთავრობო-საგამოძიებო უწყებებისადმი ვინაიდან, გვაქვს ეჭვი, რომ „ოდეერის“ შესახებ მათ ჰქონდათ უკვე ინფორმაცია და ბუნებრივია ისინი თავიანთი თავის წინააღმდეგ არ დაიწყებენ გამოძიებას. ამიტომ მიგვაჩნია,რომ საპარლამენტო კომისია უნდა შეიქმნას.

ჩვენი მესამე მოთხოვნა შეეხება აკადემიურ საბჭოს. ჩვენ სანამ იმას ვიტყოდეთ, თუ რა გვინდა აკადემიური საბჭოსგან, გავიხსენოთ უახლოესი მოვლენები. აკადემიურმა საბჭომ ჯერ აირჩია კანცლერის კანდიდატურად არჩვაძე, რომლის მიმართაც არსებობდა უამრავი კითხვა. საბოლოოდ არჩვაძემ მოხსნა კანდიდატურა. შემდეგ, განათლების სამინისტროს თქმით, კანონის უხეში დარღვევით აირჩა გაფრინდაშვილი და მთელი აკადემიური საბჭო ცდილობდა, რომ გაეყვანა ეს კანდიდატურა. მათ რამდენჯერმე დაიწყეს და გააჩერეს რექტორის იმპიჩმენტის საკითხიც. დღეისთვის ვიცით, რომ ეს პროცედურა კიდევ მიმდინარეობს. აქედან გამომდინარე, ჩვენ ვერ და არ მივიჩნევთ აკადემიურ საბჭოს ლეგიტიმურ ორგანოდ და მივიჩნევთ, რომ ის უნდა დაიშალოს და მოხდეს მისი ხელახალი არჩევა. ჩვენ, აგრეთვე, მიგვაჩნია, რომ უნივერსიტეტი იმართება დემოკრატიული პრინციპების დარღვევით, ჩვენ ვფიქრობთ რომ 15 ადამიანი, რომელიც აკადემიურ საბჭოშია, არ შეიძლება წყვეტდეს ამხელა უნივერსიტეტის ბედს. ჩვენ ვითხოვთ საბჭოს დაშლას და შემდეგ, როცა გამოცხადდება არჩევნები, გაიზარდოს მასში წევრების რაოდენობა. განათლების სამინისტროს პოზიციაც მსგავსია და მათი თქმით, ისინი უკვე რეფორმაზეც მუშაობენ და ვარაუდობენ წევრების 50-მდე გაზრდას. კრიტიკა არის იმ კუთხით, რომ ჩვენ არ ვაყენებთ პაპავას პასუხისმგებლობის საკითხს. ჩვენ უფრო მეტ პასუხისმგებლობას ვაკისრებთ აკადემიურ საბჭოს და მიგვაჩნია, რომ ის სასწრაფო წესით უნდა დაიშალოს. უკვე მისი დაშლის შემდეგ არჩევის პროცედურა, რა თქმა უნდა, დროს მოითხოვს და პაპავა საჭიროა.

**– ანუ თქვენ ამბობთ, რომ ვლადიმერ პაპავა უნდა იყოს ერთგვარად გარდამავალი რექტორი ამ მოვლენების ფონზე და შემდეგ იგი შეიცვლება ?**

მას შემდეგ, რაც მოხდება ახალი აკადემიური საბჭოს ფორმირება, ჩვენ დავაყენებთ პაპავას პასუხისმგებლობის საკითხს. ჩვენ უამრავი პრეტენზია გვაქვს. ეს არ შეეხება ამ უახლოეს დროს განვითარებულ მოვლენებს. ჩვენ ვაკრიტიკებთ, იგივე 24 ათას ლარს, რომელიც 70 ადამიანისთვის იყო გამოყოფილი და ამაზე პაპავას ხალმოწერა იყო.

– ამ ფონზე, რა გიქმნით იმის გარანტიას, რომ ეს ყველაფერი უნივერსიტეტს მისცემს მეტ დამოუკიდებლობას? ამ ყველაფერში საკმაოდ ადვილად ხომ არ წამოგყვათ ხელისუფლება? ხედავთ თუ არა საფრთხეს, რომ ამ ცვლილებებმა არ მოიტანოს ავტონომიის ის ხარისხი, რომელიც თქვენ დღეს წარმოგიდგენიათ?

შეიძლება ჩანდეს ისე, რომ განათლების სამინისტროსთან თითქოს მარტივად მივაღწიეთ შედეგს, მაგრამ რეალურად ყველაფერი სხვაგვარად იყო. მაგალითად როცა განათლების მინისტრის მოადგილე შეგვხვდა, ის ყველანაირად ცდილობდა რომ თუნდაც თვითმმართელობის საკითხი არ აეღო სამინისტროს საკუთარ თავზე, ამბობდა რომ ეს ცვლილებები არ არის მათი საქმე... და მოხდა ისეთი რამ, რომ აუდიტორია დახვდა მზად და მანაც უბრალოდ ვერ შეძლო ჩვენი მოტყუება.

**– უნივერსიტეტის შიგნით ასეთი ცვლილებებისთვის რესურსი ამოწურული იყო ?**

მაგალითად, როდესაც თვითმმართველობის სტრუქტურის ცვლილებაზეა საუბარი, დღევანდელი კანონმდებლობით განსაზღვრულია შემდეგი: თვითმმართველობის სტრუქტურას განსაზღვრავს თვითონ თვითმმართველობა, ვერც აკადემიური საბჭო და ვერც სენატი ვერ შეცვლის მის სტრუტურას, ერთადერთი გამოსავალი არის ის, რომ შევიდეს კანონში ცვლილება. კანონში ცვლილების შეტანის მოთხოვნა არავითარ წინააღ-

გაგრძელება მე-4 გვ

# „პრობლემა როგორც პერსონებშია, ისე მმართველობის არჩევის წესში“

**პაატა ბახტურიძე 24 წლისაა, ეკონომიკის და ბიზნესის ფაკულტეტის მაგისტრატურის პირველი კურსის სტუდენტი და თსუ სტუდენტური თვითმმართველობის ვიცე–პრეზიდენტია. სანამ თვითმმართველობაში აირჩევდნენ მას მერეც, სწავლის პარალელურად, საქართველოს სტატისტიკის სამსახურში მუშაობდა და სტატისტიკურ კვლევებში იყო ჩართული. ამბობს, რომ პერსპექტივაში თავს სწორედ ამ საქმეში ხედავს. ახლა კი თვითმმართველობის პოსტის დატოვებამდე 2 თვე და უნივერსიტეტის დამთავრებამდე 1,5 წელი აქვს. ის დღეს უნივერსიტეტში მიმდინარე პროცესებზე გვესაუბრება:**



**– როგორ წარმოგიდგენიათ მოვლენების განვითარება, რას ითხოვთ?**

– პირველი ჩვენი მოთხოვნა რექტორის გადადგომაა. რექტორის გადადგომით უნივერსიტეტი რომ არ აყვავდება და მხოლოდ ეს კაცი რომ არ არის პრობლემა, ამაზე, მგონი, ყველანი ვთანხმდებით. მაგრამ სტუდენტთა მეორე ჯგუფი არ ითხოვს უნივერსიტეტის რექტორის გადაგომას და ამბობენ, რომ უნივერსიტეტის ჩიხში შეყვანა არ უნდათ. მაგრამ არსებობს სხვადასხვა უნივერსიტეტების ქეისები, და მგონია, რომ უნივერსიტეტს ჩიხში რექტორის გადადგომა არ შეიყვანს.

**– ამ წუთში უნივერსიტეტს არ ჰყავს კანცლერი ანუ ადმინისტრატორი, თქვენ ითხოვთ რექტორის გადადგომას და სტუდენტთა ნაწილი ითხოვს აკადემიური საბჭოს გადადგომას. არის თუ არის ასეთ სიტუაციაში გადადგომა გამოსავალი?**

– გამოსავალი არ არის გადადგომა. გამოსავლი არის ის, რაც გადადგომის შემდგომ უნდა დაიწყოს. გადამდგარ ადამიანს ვინც ჩაანაცვლებს, ის უნდა იყოს გამოსავალი. რადგან, პირველ რიგში, დაუშვებელია რექტორის მიერ სამი წლის განმავლობაში სუს-ის თანამშრომლის შენახვა და შემდეგ, საჭირო დროს ამის, როგორც კოზირის გამოყენება სიტუაციის გასამწვავებლად. ასევე კუდის მაღალჩინოსნის, ოდეერების უფროსის, პოლკოვნიკი კუბლაშვილის და ამასთანავე საკუთარი ნათესავის დასაქმებაც არის ნეპოტიზმი, ადამიანის რომლის აშკარა ჩართულობაც იგრძნობა საუნივერსიტეტო პროცესებში.

წინა აქციების დროს, სტუდენტებისა და რექტორის შეხვედრის დროს იყო მოლაპარაკება, შევთანხმდით პატიოსანი თამაშის მეთოდებზე. იმაზე, რომ არც თვითმმართველობა ჩაერეოდა ფეხების ბრახუნით არჩევნებში და არც რექტორი უნდა ჩაერიოს, ყველაფერი უნდა იყოს დემოკრატიული და გამჭირვალე. რექტორი ჩაერია პროცესებში და მოინდომა თავის კანდიდატურის გაყვანა. დაიწყო არეულობა, არეულობის დროს წამოიწია „ოდეერის“ საკითხმა. იყენებს „ოდეერის“ საკითხს, სიტუაციის კიდევ უფრო დასაძაბად. თვითმმართველობას ეჯახება სტუდენტთა გარკვეული ჯგუფი საპროტესტო აქციით და არის მცდელობა, რომ თვითმმართველობა იქნეს ჩამოშორებული ამ პროცესებს. მაგრამ საბედნიეროდ ამ ყველაფერს ჩვენ გავუძელით და ისევ ვართ ჩართულები და ისევ ვითხოვთ უნივერსიტეტისათვის სასიკეთო ცვლილებებს.

**– თქვენის აზრით, რა შეიცვლება რექტორის გადადგომით?**

– რექტორის გადადგომით მოხდება ის, რომ სრული აკადემიური პერსონალი ირჩევს რექტორის მოვალეობის შემსრულებელს და, ჩემი აზრით, ეს დემოკრატიული იქნება, რადგან ვერც სახელმწიფო და ვერ სტუდენტობა ვერ გაიყვანს თავის „კანდიდატს“. უნივერსიტეტი ჩიხში არ უნდა შევიდეს, ეს უნდა მოხდეს ოპერატიულად. გადადგომის თარიღისთვის წინასწარ უნდა მომზადდეს რექტორის მოვალეობის შემსრულებლის არჩევნები. შემდეგ რექტორის მოვალეობის შემსრულებელმა უნდა უზრუნველყოს აკადემიური საბჭოსთან რეფორმები და მათი ახალი წესით არჩევა. დღეს აკადემიური საბჭოს გადადგომა და უფლებამოსილების შეჩერება არაფერს არ ცვლის, რადგან აკადემიური საბჭო ირჩევა ისევ იგივე წესით. ახალი რექტორი უნდა აირჩიოს ახალმა აკდემიურმა საბჭომ. როგორც ხედავთ, პროცესის წყვეტა არსად არ ხდება და უნივერსიტეტი არ შედის ჩიხში.

**– არსებული კანონმდებლობა და რეალობა იძლევა თუ არა იმის საშუალებას, რომ უნივერსიტეტის ამ პროცესებში არ მოხდეს ჩარევა, ზემოქმედება ხელისუფლების, სხვადასხვა პოლიტიკური ჯგუფების მხრიდან?**

– ნებისმიერ საკანონმდებლო მოცემულობაში ამისგან დაზღვევის ერთადერთი საშუალება არის საუნივერსიტეტო საზოგადოების, ზოგადად საქართველოს საზოგადოების მხრიდან ყურადღების მიქცევა, მონიტორინგი. როგორც დამკვირვებლების.

**– იზიარებთ პოზიციას იმასთან დაკავშირებით, რომ აკადემიურმა საბჭომ დაუშვა შეცდომები და ის უნდა შეიცვალოს? მაგალითად დაარღვია კანონი, როგორც ეს განათლების სამინისტროს აუდიტის სამსახურის დასკვნაშია ნათქვამი?**

– პირველ რიგში შეცდომა იყო კანცლერად სოსო არჩვაძის არჩევა, რომელიც ყველაზე სუსტი იყო კანდიდატებს შორის. ამ ეტაპზე იმის განცხადებისაგან, რომ აკადემიურმა საბჭომ იურიდიული შეცდომა დაუშვა, თავს შევიკავებ მანამდე, სანამ თსუ იურიდიული დეპარტამენტი დასკვნას დადებს.

**– პრობლემა პერსონებშია თუ მმართველობის სტრუქტურებში და მათი არჩევის წესში?**

– პრობლემა როგორც პერსონებშია, ისე მმართველობის არჩევის წესში. აკადემიური საბჭოს არჩევნებში სტუდენტების ჩართულობა არის მინიმალური. სრული აკადემიური პერსონალი ფაკულტეტზე ირჩევს აკადემიური საბჭოს წევრს, სტუდენტი წარმოდგენილია მხოლოდ ფაკულტეტის საბჭოდან. ამ საბჭოების სტუდენტების მაქსიმალურ რაოდენობა ათია. როდესაც 10 სტუდენტი და 170 პროფესორი ირჩევს, აქ სტუდენტების ხმას საერთოდ არანაირი მნიშვნელობა არა აქვს. სტუდენტებს აღარ უნდა ჰქონდეთ შეგრძნება, რომ აკადემიური საბჭო არ არის სტუდენტების ინტერესების გამტარებელი. სტუდენტების ხმას რომ რამე წონა ჰქონდეს, მინიმუმ ერთი მესამედი მაინც უნდა იყოს აკადემიური საბჭოს ამომრჩეველთა რაოდენობის. მე არ ვიძახი, რომ ისინი აუცილებლად სტუდენტური თვითმმართველობდან უნდა იყვნენ წარმოდგენილი. შეიქმნას სხვადასხვა რეგულაციები საინიციატივო ჯგუფი. და ა.შ

**– თქვენი ჯგუფში ადრეც გამოდიოდა რექტორის გადადგომის მოთხოვნით. როგორც მახსოვს, მაშინ შეიქმნა საინიციატივო ჯგუფი. რა გააკეთა ამ ჯგუფმა?**

– საზოგადოებას თვალში ნაცარს ნუ შევაყრით. ამ ჯგუფმა რაღაც გააკეთა, მაგრამ ბევრი ვერაფერი. მიდის მოლაპარაკებები ინფარსტურქტურულ საკითხებზე. მაგალითად განათლების სამინისტრო გვაძლევს ელექტრონული საქმისწარმოების სისტემას. ამ ჯგუფს მუშაობა არ დაუსრულებია. ჩვენ არ ვმუშაობდით, ჩვენ პირადად არ მივცემთ უნივერსიტეტის ავტონომიაში არც განათლების სამინისტრის და არც შსს-ს და არ სხვას ჩარევის უფლებას. უნივერსიტეტში უნდა მოხდეს რეფორმები უნივერსიტეტის წესდების საფუძველზე. განათლების სამინისტროსთან მიდიოდა საუბარი მხოლოდ იმაზე, თუ რა მატერიალური საფუძველი შეიძლება მიიღოს უნივერსიტეტმა სამინისტროსგან.

**– თქვენ რომ არ იყოთ თვითმმართველობის თავმჯდომარის მოადგილე და იყოთ მხოლოდ სტუდენტი, რას შეცვლიდით თვითმმართველობის არჩევის ან მუშაობის წესში?**

– თუ როგორი თვითმმართველობა უნდა ჰყავდეს, ამას განსაზღვრავს თავად უნივერსიტეტი და ესეც გახლავთ უნივერსიტეტის ავტონომიურობის კიდევ ერთი დასტური. საკანონმდებლო დონეზე განსაზღვრულია მხოლოდ თვითმმართველობის არსებობა და თუ როგორი უნდა იყოს იგი, ამას განსაზღვრავს თავად უნივერსიტეტი. როდესაც თითმმართველობის ვიცე-პრეზიდენტი გავხდი, დავიწყე ცვლილებები, რომელიც არ დამიმთავრებია და ისევ ვაგრძელებ. თვითთმმართველობას ჰქონდა თავისი „ოდერეების“ მსგავსი მონიტორინგის სამსახური, რომელიც გავაუქმეთ ჩვენ თვითონვე. გარდა ამისა, შევქმენით სტუდენტთა უფლებების დაცვის დეპარტამენტი, ასევე ანალიტიკური დეპარტამენტი. უმაღლესი წარმომადგნლობითი ორგანო შიგნით თვითმმართველობაში არის დელეგატთა საბჭო. იგი იღებს გადაწყვეტილებას და ამტკიცებს წესდებას. იყო ჩადებული ასეთი ოდიოზური რაღაც, რომ თვითმმართველობის დელეგატთა გადაწყვეტილების შეცვალა შეეძლოთ თვითმმართველობის პრეზიდენტსა და ვიცე-პრეზიდენტს, რაც ამოვიღეთ წესდებიდან.

მსგავსი ხარვეზები სწორდება, თუმცა არ ვემხრობი იმ სტუდენტების მოთხოვნას, რომ თვითმმართველობას აღმასარულებელი საქმიანობა უნდა ჩამოშორდეს. იყო პროტესტები გარკვეულ პროექტებთან დაკავშირებით, მაგალითად ბაკურიანის, რომლის მოგვარება მარტივად, რეგულაციების შემოღებით შეიძლება, მაგალითად შეიძლება შემოვიღოთ ზედა ზღვარი. ამის მოგვარებას არ ჭირდება ფეხების ბრახუნი და აქციების ენა.

**– ერთ-ერთი პრეტენზია სტუდენტური პროექტების დაფინანსების არსებულ წესს ეხება, როცა ყველა სტუდენტური პროექტი ვიზას თვითმმართველობისგან საჭიროებს.**

– ის, რომ სტუდენტების წერილები ჩვენთან გამოდის, არ უნდა ჩაითვალოს რაღაც პროვილეგიად. პირიქით, ეს არის დამატებითი პროცედურა. რეზოლუციას ჩვენ ყველა შემთხვევაში ვადებთ, ერთადერთი პროექტი რაც მახსოვს იყო ის, რომ პირველკურსელ სტუდენტს უნდოდა 250 ადამიანის ექსკურსიაზე წაყვანა ისე, რომ არც საორგანიზაციო ჯგუფი ჰყავდა და არც არაფერი. დანარჩენ შემთხვევაში რეზოლუციას ვადებდით. მაგრამ ბოლო პერიოდში პროექტი არ შემოსულა.

**– შესაძლოა იმიტომ, რომ ნდობაა ნაკლები.**

– მე რატომ უნდა მენდობოდეს, ცდას წინ რა უდგას? დაფინანსების შესახებ გადაწყვეტილებას მე არ ვიღებ, იღებს კანცლერი ან რექტორი კანცლერთან შეთანხმებით. 2015 წელს სტუდენტებისათვის გამოყოფილი თანხებიდან თვითმმართველობამ დახარჯა მხოლოდ 22 პროცენტი. დანარჩენი 78 პროცენტი იყო ჩვეულებრივად ხელმისაწვდომი ნებისმიერი სტუდენტისთვის. უბრალოდ შექმნილია სტერეოტიპული მიდგომა, რომ თვითმმართველობა თანხებს 100 პროცენტით ხარჯავს.

**– ეს სტერეოტიპი ხომ არ გეხმარებათ, რომ წევრების რაოდნობის მობილიზება უფრო მოახდინოთ?**

– არ ვთვლი ასე, რადგან თვითმმართველობაში ყოფნა პრივილეგია არ არის. ეს არის ნერვების და დროის ხარჯვა. არანაირ სარგებლობას არ იღებ გარდა გამოცდილებისა.

**– თქვენ ჩართული ხართ – რა არის თქვენი მოტივაცია?**

გაგრძელება მე-4 გვ

# ვლადიმერ პაპავა: „ყველაზე მთავარი არის ის, რომ ახალგაზრდებმა აჩვენეს თავიანთი ინტერესი უნივერსიტეტისადმი...“

**– ბატონო ლადო, სტუდენტები ცვლილებებს ითხოვენ. მათი აღქმა ამ ცვლილებებისა არის სხვადასხვანაირი, თუმცა ისინი ითხოვენ ცვლილებებს. როგორია თქვენი პოზიცია ამ ცვლილებებთან დაკავშირებით?**

– ცვლილებაც არის და ცვლილებაც. თუ ისინი იზიარებენ, რომ რექტორი უნდა წავიდეს და ეს არის ცვლილება - მე ამ აზრს არ ვიზიარებ და ამას უკვე დიდი ხანია ვამბობ. უნივერსიტეტის წინაშე აღებული ვალდებულება ბოლომდე უნდა იქნას მიყვანილი. უნივერსიტეტში ახლა არ არის მარტივი სიტუაცია და ეს სიტუაცია უნდა განიმუხტოს, მოხდეს კანცლერის არჩევა, აკადემიურ საბჭოში სამი გამოკლებული წევრია და ესეც უნდა შეივსოს; წინ გვაქვს დეკანის არჩევნები; აღარ ვამბობ იმას, რომ სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნებია წინ. ცვლილებები ასევე წინ გვაქვს იქიდან გამომდინარე, რომ დეკემბერში იქნა შეტანილი შესწორებები „უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების“ და „ტექნოლოგიების შესახებ“ კანონებში. ამან მეცნიერ-თანამშრომლის ინსტიტუტი გააჩინა. ამას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. ბუნებრივია, რომ ეს იწვევს გარკვეულ ცვლილებებს, მათ შორის არის აკადემიური საბჭოს გაფართოება იმ ინსტიტუტების წარმომადგენლებით, რომლებიც იქნებიან საუნივერსიტეტო დამოუკიდებელი სამეცნიერო კვლევითი ერთეულები. ასე, რომ ეს ცვლილებები ისედაც წინაა. სულ ცოტა ხნის წინ, ჩვენი უნივერსიტეტის გაზეთის ფეისბუქ-გვერდზე გამოქვეყნდა რამდენიმე ინიციატივა. ამ ინიციატივებზე ბოლო 1-2 თვეა ვმუშაობთ. უკანასკნელმა მოვლენებმა შეაფერხა ამაზე მუშაობა. ამიტომ ჩემი თხოვნა იყო, რომ უნივერსიტეტის გაზეთის გვერდზე დადებულიყო, შესაძლო ინიციატივები, რითიც შეიძლება უნივერსიტეტმა მიმართოს პარლამენტს.

**– მათ შორის არის რექტორის არჩევის წესის შეცვლა.**

– რა თქმა უნდა, სხვათა შორის ჯერ კიდევ 2013 წელს, რექტორის არჩევნებისას, რომლის შედეგადაც მერგო პატივი და გავხდი ამ უნივერსიტეტის რექტორი, ვთვლიდი, რომ უკეთესი იქნებოდა უნივერსიტეტისთვის, რომ რექტორი რაც შეიძლება მეტი ლეგიტიმაციით იყოს არჩეული. ჩვენ რაიმე პრინციპულ, ახალ მოდელს არ ვთავაზობთ - უბრალოდ გადავაადგილეთ ორი რამ: ის, რაც იყო რექტორის მოვალეობის შემსრულებელზე, გადმოგვაქვს რექტორის არჩევაზე და რაც რექტორის არჩევის პროცედურა იყო - გადავიტანეთ რექტორის მოვალეობის შემსრულებლის არჩევის პროცედურაზე. ამასთან, თუ დღემდე წერია, რომ რექტორს ირჩევს აკადემიური საბჭო, ჩვენ ვთავაზობთ, რომ აკადემიურმა საბჭომ რექტორის მოვალეობის შემსრულებელი აირჩიოს თავისი რიგებიდან. იმისათვის, რომ კიდევ კონკურსი არ გამოცხადდეს და დრო არ დაიკარგოს.

**– აკადემიური საბჭოს დაკომპლექტების წესის ცვლილებაც არის სტუდენტთა ერთ-ერთი მოთხოვნა.**

– აკადემიური საბჭო არის ორგანო, რომელიც აკადემიურ საკითხებს განიხილავს და მანდ საჭიროა კომპეტენტური ხალხი. აკადემიური საბჭოს არჩევის წესში შეიძლება გარკვეული ცვლილების შეტანაც, მაგრამ აქ ველოდებით კონკრეტულ პროექტებს. მაგალითად, სტუდენტურ თვითმმართველობას ჰქონდა ასეთი იდეა, რომ აკადემიური საბჭო აირჩეს არა ფაკულტეტის მიერ, არამედ ფაკულტეტის საბჭოს მიერ. ამას სჭირდება სამინისტროსთანაც გავლა და ეს უნდა გადაწყდეს მთელი საგანმანათლებლო სივრცისთვის. თუმცა, რამდენად არის ეს მოთხოვნა გამართლებული, ამაზე მსჯელობა კიდევ უნდა გაგრძელდეს.

**– აკადემიურ საბჭოს რაოდენობის გაზრდასაც აქვს, ალბათ, თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეები?**

– დადებითი მხარე ის აქვს, რომ უფრო ფართოდაა წარმოდგენილი საუნივერსიტეტო საზოგადოება და გვაქვს განცდა, რომ უნივერსიტეტის ესა თუ ის პროფესორი რაღაცნაირად მონაწილეობს საუნივერსიტეტო საკითხების გადაწყვეტაში. მაგრამ იკარგება მოქნილობა, ოპერატიულობა. მე, მაგალითად, გახლდით დიდი საბჭოს წევრი, რომელიც ადრე იყო და საკმაოდ მრავალრიცხოვანი გახლდათ. ასეთ საბჭოში ძალიან ძნელია, მაგალითად, პროგრამული ცვლილებების დამტკიცება, ან, დავუშვათ, კონკურსების შედეგების დეტალური განხილვა. მაშინ მოდელი უნდა შეიცვალოს და რექტორატს გაეზარდოს ფუნქციები. მაგრამ ეს უკვე პრინციპული მსჯელობის საგანია, თუ რა სჯობს - იყოს დიდი საბჭო და გაზრდილი რექტორატის ფუნქციები, თუ უფრო მოქნილი საბჭო და რექტორატს შეუნარჩუნდეს დღეს არსებული ფუნქციები. მიუხედავად იმისა, რომ რექტორი ვარ და ყველა ხელმძღვანელ პირს აქვს სურვილი გაიზარდოს თავისი უფლებამოსილებები, გვერდიდან რომ შევხედო, თანაც ჩემი ორწელიწადნახევრის რექტორობის გამოცდილებით, ალბათ მაინც ჯობია, რომ რექტორის ფუნქციები არ გაიზარდოს და საბჭომ შეინარჩუნოს მოქნილობა. თუ საბჭოს დაემატება 5-7 კაცი, ეს ოპერატიულობას არ დააზარალებს. მაგრამ თუ რიცხოვნება გახდება ორჯერ მეტი, მერე უკვე ქვორუმის პრობლემა ჩნდება. სენატშიც გვაქვს ეს პრობლემა, ყველა ითხოვს რომ გახდეს სენატის წევრი, მაგრამ სხდომებზე არ დადიან. მესმის, რომ პროფესორი შეიძლება ავად გახდეს, საზღვარგარეთ წავიდეს და მნიშვნელოვანი ღონისძიება დაემთხვეს და არ მოვიდეს, მაგრამ როცა ამდენი ხანია უყურებ სენატის სხდომებს და ძალიან ხშირია, რომ ერთი და იგივე სახეები იშვიათად ჩნდებიან, ეს კარგი ნამდვილად არ არის.

**– ამ ტაპზე ახალგაზრდების ერთ-ერთი მოთხოვნა არის საბჭოს დაშლა, ხელახალი არჩევნები, ამის ერთ-ერთ საფუძვლად სახელდება ისიც, რომ განათლების სამინისტროს აუდიტის სამსახურმა გამოაქვეყნა დასკვნა, რომლის თანახმადაც საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები მეორე კანდიდატის შემთხვევაში არ შეესაბამებოდა კანონს. როგორია თქვენი პოზიცია?**

– დაშლა ნამდვილად არ არის გამოსავალი. ჯერ ერთი, დაშლის მექანიზმი არ არსებობს. ერთადერთი გზაა, რომ აკადემიური საბჭოს წევრები დაწერენ განცხადებას და გავლენ. ამის პრეცედენტი უკვე გვქონდა - ამ რთული დღეების შემდეგ ორმა წევრმა დაწერა განცხადება და გავიდა, ქალბატონი მარიამ გერსამიამ და ბატონი გიორგი გოგსაძემ. თუ ასეთი სისტემით წავიდოდა პროცესი, საბჭო დაიშლებოდა. მაგრამ ეს გამოიწვევდა კურსების შეჩერებას, პროგრამებში ვერ შევიდოდა ცვლილებები. ამ დროს დღეს ჩვენ ვდგევართ პროგრამული აკრედიტაციის გავლის წინაშე. წარმოიდგინეთ აკდემიური საბჭო რომ გაჩერდეს, უნივერსიტეტს რამდენი პრობლემა ექმნება, ცალკე ავტორიზაციის პრობლემა ჩნდება. ამიტომ მე ამის მომხრე არც ერთ შემთხვევაში არ ვიქნები, თუმცა ეს ინდივიდუალურად აკადემიური საბჭოს თითოეული წევრის გადასაწყვეტია. გრძელდება საბჭოს სხდომები და, რამდენადაც ვიცი, დარჩენილ წევრებს კარგად აქვთ გააზრებული საკუთარი უფლება-მოვალეობები. უფრო მეტიც - სულ მალე უნდა ჩავანაცვლოთ გამოკლებული სამი წევრის ადგილი, მესამე ადგილი ქალბატონი ნანა გაფრინდაშვილის ადგილია, რომელიც ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მოვალეობას ასრულებს.

**– უნივერსიტეტისთვის ერთ-ერთი მტკივნეული თემაა ე.წ. „ოდეერების'' თემა. ამ თემასთან დაკავშირებით გაისმის საყვედურები, რომ ეს არ გახდა ცნობილი მაშინ, როცა თქვენ აგირჩიეს. ასევე არის პრეტენზიები, რომ არიან სხვა ძალოვანი პირებიც უნივერსიტეტში, რომლებიც ბოლო წლების განმავლობაში დაინიშნენ. რა არის ამ კითხვებზე პასუხი?**

– „ოდეერების“ თემა მწვავედ აღქმადი გახდა მას შემდეგ, რაც ამაზე სერიოზული მსჯელობა დაიწყო საუნივერსიტეტო საზოგადოებაში. ამაზე უკვე კულუარებში, სტუდენტებში, ადმინისტრაციაში მიდიოდა საუბრები. ბუნებრივია, როდესაც სტუდენტები იმპერატიული ტონით დაინტერსდნენ ამ სიტუაციით, მეც დავუდასტურე ის ინფორმაცია, რაც გამაჩნდა. მაგრამ იქვე ხაზი გავუსვი ერთ პიროვნებას. რაც შეეხება ჩემი მეუღლის ბიძაშვილს, რომლის შესახებაც ამ დღეებში საუბრობდნენ - ის უშუალოდ ჩემი ინიციატივით სამსახურში არ ყოფილა აყვანილი და როცა აიყვანეს, ის უკვე იყო პენსიაზე გასული. მაგრამ, თავისთავად მომენტი, რომ ის ითვლება მეუღლის ნათესავად, იყო ცუდი და მან მიიღო გადაწყვეტილება წასულიყო უნივერსიტეტიდან. ამასთან, მისი ფუქნციები მკაფიოდ იყო გაწერილი, ამაზე განცხადება ჩვენი კადრების უფროსმაც გააკეთა.

**– ისევ დავუბრუნდეთ უნივერსიტეტის საკანონმდებლო ინიციატივებს - ეს არის ის თემები, რომლებზეც უნივერსიტეტი შეჯერებულია, თუ ისინი გამოტანილია სადისკუსიოდ?**

– ჩვენ ეს სწორედ იმიტომ გამოვაქვეყნეთ, რომ საუნივერსიტეტო საზოგადოებამ წაიკითხოს. აქ უნდა დაისვას მრავალწერტილი.

სანამ კანონში შევიდოდა ცვლილებები, ჩვენ გვქონდა ძალიან საინტერესო მოდელი ვადიანი და უვადო პროფესორების თანამდებობებთან დაკავშირებით. ახლა ყველა ხდება უვადო, რაც, მიგვაჩნია, რომ შეცდომაა. უნივერსიტეტის გადასაწყვეტი უნდა იყოს, რომელ პროფესორთან რა კრიტერიუმებით გაფორმდება უვადო კონტრაქტი და რომელთან - ვადიანი. ეს საუნივერსიტეტო სივრცის გადასაწყვეტია, მე ამაში მყარად ვარ დარწმუნებული. მეცნიერ-თანამშრომლის ვადიანობა-უვადობაზეც იგივე აზრი არსებობს.

ყველაზე მთავარი მაინც ფინალური ნაწილია, სადაც ვწერთ, რომ უნივერსიტეტის დაფინანსებაში უნდა გაჩნდეს ინსტიტუციური მოდელი და ჩავწერეთ ძალიან ლოგიკური თარიღი, რომ ეს განხორციელდეს 2018 წლის 1 იანვრიდან. 2016 წელი, მოგეხსენებათ, მიდის და ამ ბიუჯეტში ცვლილებები ვერ მოხდება. 2017 წლის ბიუჯეტი მისაღები ექნება ახალ პარლამენტს. ახალი პარლამენტი აირჩევა წლის ბოლოს, მთავრობა, პარლამენტში კომიტეტები უნდა დაკომპლექტდეს, რაც დიდ დროს მოითხოვს. მთავრობამ აუცილებლად გამჭვირვალე კრიტერიუმით უნდა განსაზღვროს ის, თუ რომელ უნივერსიტეტს რა თანხა უნდა შეხვდეს. მარტივი კრიტერიუმებია - მაგალითად უნივერსიტეტის სტუდენტების რაოდენობა, საერთაშორისო დონეზე აღიარება და ა.შ. ამ ყველაფერს სჭირდება შესწავლა და დრო. მთავრობას ექნება მშვიდი 2017 წელი, როდესაც ისინი კარგად გაიაზრებენ, ჩამოყალიბდებიან, თუ რა თანხა გაითვალისწინონ 2018 წლის ბიუჯეტში უმაღლესი სასწავლებლების ინსტიტუციური დაფინანსებისთვის. ვფიქრობ, რომ ამას კარგი რეზონანსი მოყვება. წინასაარჩევნო პერიოდია და თუ პარლამენტი ჩვენს ინიციატივას გაიზიარებს, კარგი გადაწყვეტილება იქნება საქართველოში უმაღლესი განათლების განვითარებისათვის.

**– თქვენ მოახლოებული არჩევნები ახსენეთ. არჩევნების წინ ყოველთვის დიდია უნივერსიტეტისადმი ინტერესი. თქვენ ხართ არჩეული რექტორი, რომელსაც ბოლო დღეების მოვლენების დროს აბსოლუტურად განსხვავებული პოლიტიკური ღირებულებების პირებმა ერთად დაგიჭირეს მხარი. რა უნდა გაკეთდეს იმისთვის, რომ უნივერსიტეტმა რეალური ავტონომია მოიპოვოს და შეინარჩუნოს?**

– რიგითობით მე გახლავართ უნივერსიტეტის 28-ე რექტორი და, სამწუხარო ფაქტია, რომ ამ 28-ში მე მხოლოდ მე-3 ვარ, რომელიც არჩეულია. ეს უნივერსიტეტისთვის და არც ჩემთვის დიდად საამაყო არ არის.

რა უნდა გაკეთდეს? ბევრი რამ. პირველ რიგში, თვითონ ჩვენ უნდა ვიღონოთ ყველაფერი - ყველამ, პროფესორით დაწყებული და სტუდენტით დამთავრებული. თვითონ უნდა ვირწმუნოთ, რომ ჩვენს ზემოთ არავინ დგას, ჩვენ ვიღებთ გადაწყვეტილებებს, ჩვენ ვართ დამოუკიდებლები. ეს მოითხოვს კულტურის საკმაოდ მყარ, ძლიერ და მაღალ დონეს, რასაც ქვია დემოკრატიული კულტურის განვითარება. დემოკრატია ეს არ არის ერთხელ მიღწეული სტატუსი, ერთხელ მიღწეული მდგომარეობა, ეს არის მუდმივი მოძრაობა და, რა თქმა უნდა, 25 წელი, რამდენი ხანიც არის საქართველო დამოუკიდებელი, სამწუხაროდ არ აღმოჩნდა საკმარისი, რომ ქართველი ერი ბოლომდე ჩამოყალიბებულიყო, როგორც ერი, რომელსაც შესწევს ძალა დემოკრატიული ნებით ცვალოს და მიიღოს ქვეყანაში ახალი გადაწყვეტილებები. ჩვენ ხომ მხოლოდ ერთი არჩევნები გვქონდა საპარლამენტო და საპრეზიდენტო, რომელიც მშვიდობით დასრულდა. საპარლამენტო არჩევნები, რომელიც 2012 წელს ჩატარდა, იყო ისტორიული და ძალიან დიდი იმედი მაქვს,რომ 2012 წლის არჩევნები გამონაკლისი არ იყო და 2016 წელს გამყარდება ეს პირველი გადადგმული ნაბიჯი და გამოჩნდება სიმპტომები, რომ საქართველო ყალიბდება დემოკრატიად. ბუნებრივია, რომ ის, რაც ქვეყანაში ხდება, მეტ-ნაკლებად აისახება უნივერსიტეტზეც. უნივერსიტეტი ამ ქვეყნის განუყოფელი ნაწილია. ამიტომ უნივერსიტეტის ავტონომიის განმტკიცებას მარტო კანონში ჩანაწერი არ ეყოფა. მთავარია ყველამ ირწმუნოს, რომ ჩვენ ვართ ავტონომიურები და როცა გვაქვს კომუნიკაცია ხელისუფლებასთან, ამ კომუნიკაციის დროს სწორედ იმ ენით ველაპარაკოთ, რა თქმა უნდა, ეთიკის ნორმების სრული დაცვით, რომელიც იმ განცდიდან გამომდინარეობს, რომ ჩვენ ვართ ავტონომიურები. მაგრამ ეს რთული გზაა, ამას წრთობა სჭირდება. მე დარწმუნებული ვარ, რომ ამას მივაღწევთ. შეიძლება ეს უშუალოდ დღეს და ხვალ არ იყოს, მაგრამ უახლოეს მომავალში ნამდვილად იქნება.

**– რას ეტყოდით ახალგაზრდებს?**

– ყველაზე მთავარი არის ის, რომ ახალგაზრდებმა აჩვენეს თავიანთი ინტერესი უნივერსიტეტისადმი. ის ახალგაზრდები, რომლებიც გამოვიდნენ რექტორის გადადგომის მოთხოვნით, ჩვე-

გაგრძელება მე-4 გვ

# „უნივერსიტეტის ადმინისტრაციის თანამშრომლები უნდა იყვნენ დაცულნი“

გაზეთ „უნივერსიტეტს“ესაუბრება **მაია კოპალეიშვილი** - თსუ იურიდიული ფაკულტეტის ადმინისტრაციული სამართლის მიმართულების პროფესორი. თსუ აკადემიური საბჭოს წევრი:

**სტუდენტების ნაწილი თვლის, რომ აკადემიურმა საბჭომ ვერ გადადგა ქმედითი ნაბიჯები კრიზისის განსამუხტად უნივერსიტეტში. იზიარებთ თუ არა ამ მოსაზრებას?**

აკადემიურმა საბჭომ ყველა ზომას მიმართა, რომ სტუდენტებს შორის არ მომხადარიყო დაპირისპირება. ის არ იქცა მხარედ ამ პროცესებში. შეიძლება იმის აღნიშვნა, რომ აკადემიურ საბჭოს შეეძლო დროული შეფასება მიეცა იმ მოვლენებისათვის როდესაც წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომა ჩაიშალა. კრიზისი შეფასების საგანია. სერიოზული პრობლემები ნამდვილად იყო და ჯერ-ჯერობით ამ ეტაპზეც რჩება. რაც შეეხება სტუდენტების მოსაზრებას, აკადემიური საბჭოს თვითდაშლაზეც შეიძლება საუბარი და რეორგანიზაციაზეც. უბრალოდ აქ დგას საკითხი, თუ რა დროიდან შეიძლება ეს განხორციელდეს და რა დონის რეორგანიზაციაზე შეიძლება რომ ვიმსჯელოთ, რადგან ეს საკითხები უკავშირდება, მათ შორის, საკანონმდებლო ცვლილებების საკითხსაც. აკადემიური საბჭოს სახელით ამ საკითხზე პოზიციის დაფიქსირებისაგან თავს შევიკავებ. ამ საკითხებს ყველა დაინტერესებულ მხარესთან ერთად სჭირდება განხილვა. ეს პროცესი უკვე დაწყებულია.

**რამდენად ეთანხმებით განათლების სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტის დასკვნას, რომ კანცლერის არჩევის პროცესში საბჭომ დაუშვა იურიდიული შეცდომა?**

ყველა არგუმენტის ჩამოსაყალიბებლად, რამდენადაც ვხვდები, ახლა შესაბამისი ფორმატიც არ გვაქვს. მხოლოდ ვიტყვი, რომ არ ვეთანხმები. ის, რომ აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილება არის სამართლებრივად სწორი და საფუძვლიანი, ჩვენ დავასაბუთეთ განათლების სამინისტროს შიდა აუდიტის დასკვნაზე ჩვენი იურიდიული დეპარტამენტის მიერ დასკვნის სახით მომზადებულ საკმაოდ ვრცელ, არგუმენტირებულ პასუხში, რომელსაც 23 მარტს გამართულ აკადემიური საბჭოს სხდომაზე ჩვენ კენჭი ვუყარეთ. პასუხი გაეგზავნება სამინისტროს და დაინტერესებულ პირებსაც შეეძლებათ, რომ მას გაეცნონ.

ბუნებრივია, აკადემიური საბჭო პასუხისმგებელია მის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაზე და, მან დღეს ნათლად, დასაბუთებული არგუმენტებით დაადასტურა, რომ ეთანხმება მის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას. აქ სხვა რამაა მთავარი. კერძოდ, უნივერსიტეტის მართვის ორგანოებმა, მათმა წევრებმა, პროფესურამ უნდა გაითავისონ, რომ საკუთარი პასუხისმგებლობის ტვირთი არ დააკისრონ უნივერსიტეტის ადმინისტრაციის თანამშრომლებს, იურიდიულ დეპარტამენტს, მათი მხრიდან საჯარო სივრცეში გაკეთებული კომენტარებით უნებლიეთ არ მოახდინონ ჩვენი უნივერსიტეტის ადმინისტრაციული პერსონალის დისკრედიტაცია. უნივერსიტეტის ადმინისტრაციის თანამშრომლები ჩვენ გვირჩევენ, მაგრამ გადაწყვეტილებას იღებს უფლებამოსილი პირი, იქნება ეს რექტორი, აკადემიური საბჭო, თუ წარმოამდგელობითი საბჭო და, შესაბამისად, პასუხისმგებლობის ტვირთიც სწორედ მან უნდა ზიდოს. ჩვენი უნივერსიტეტის ადმინისტრაციის თანამშრომლები უნდა იყვნენ დაცული.

**გავრცელდა ინფორმაცია, რომ აკადემიური საბჭო განიხილავს რექტორის იმპიჩმენტის საკითხს.**

16 მარტს აკადემიურმა საბჭომ ერთხმად მიიღო გადაწყვეტილება რექტორის უფლებამოსილების ვადაზე ადრე შეწყვეტის საკითხის განხილვის შესახებ, რასაც ჩვენი კანონმდებლობა ითვალისწინებს. დავალებები მიცემულია ჩვენი შესაბამისი სტრუქტურული ერთეულებისადმი, რათა მათ ამ მხრივ დასკვნები წარმოუდგინონ აკადემიურ საბჭოს. ეს პროცედურა გულისხმობს, გარკვეული საკანონმდებლო საფუძვლების არსებობის დადასტურდების შემთხვევაში, გადაწყვეტილების მისაღებად ფარული კენჭისყრის ჩატარებას აკადემიური საბჭოს სიითი შემადგენლობის უმრავლესობით.

# თსუ-ის წინადადებები საკანონმდებლო ცვლილებების თაობაზე

*პირველი გვერდიდან*

### წინადადებები პოსტდოქტორანტის არჩევის თემასთან დაკავშირებით

კანონის ამჟამინდელი რედაქციის მე-2 მუხლის ქვეპუნქტით განისაზღვრა, რომ პოსტდოქტორანტი არის დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელიც კონკრეტული სამეცნიერო-კვლევითი პროექტის განსახორციელებლად, ვადიანი შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე, საქმდება ძირითად საგანმანათლებლო ერთეულში ან დამოუკიდებელ სამეცნიერო-კვლევით ერთეულში აკადემიური საბჭოს მიერ განსაზღვრული წესით. აღნიშნული რედაქციით, პოსტდოქტორანტის ინსტიტუტის განმარტება და მისი დასაქმების წესი მისაღებია, თუმცა ამავე კანონის 371 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, „პოსტდოქტორანტია პირი, რომელსაც კონკრეტული სამეცნიერო-კვლევითი პროექტის განსახორციელებლად არაუმეტეს 2 წლის ვადით, კონკურსის საფუძველზე **ირჩევს დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სამეცნიერო საბჭო** ძირითად საგანმანათლებლო ერთეულში ან დამოუკიდებელ სამეცნიერო-კვლევით ერთეულში აკადემიური საბჭოს მიერ განსაზღვრული წესით. პოსტდოქტორანტად პირი შეიძლება აირჩეს მხოლოდ ერთხელ.“ პოსტდოქტორანტად (რომელიც დაქირავებული თანამშრომელია) მიმღები ორგანო (ხსენებული სამეცნიერო საბჭო) ყველა უნივერსიტეტში ყველა სამეცნიერო მიმართულებით არ არსებობს, იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ ყველა უნივერსიტეტს ყველა მიმართულებით არ აქვს დამოუკიდებელი სამეცნიერო კვლევითი ერთეული. გამომდინარე აქედან, დგინდება, რომ პირის დასასაქმებლად (პოსტდოქტორანტად მისაღებად) აუცილებელია დამოუკიდებელი სამეცნიერო-ერთეულის არსებობა (და ამ ერთეულში სამეცნიერო საბჭოს არსებობა) ანდა მისი შექმნა არქონის შემთხვევაში (როგორც ერთეულის, ისე მისი სამეცნიერო საბჭოს), რაც, შესაძლოა ითქვას, რომ რეალობას მოკლებულია. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ჩვენი აზრით, აუცილებელია კანონის 371 მუხლის მე-3 პუნქტის შეცვლა იმ სახით, რომ მასში პოსტდოქტორანტის ამრჩევი ორგანო მითითებული არ იყოს და ეს საკითხი გადაწყვიტოს აკადემიური საბჭოს მიერ დასამტკიცებელმა კონკურსის წესმა. შედეგად პოსტდოქტორანტის მიღება შესაძლებელი იქნება, როგორც ფაკულტეტზე, ისე დამოუკიდებელ სამეცნიერო-კვლევით ერთეულში. შესაბამისად, კანონის 371 მუხლის მე-3 პუნქტი, ჩვენი აზრით, უნდა ჩამოყალიბდეს შემდეგი შინაარსით - **„3. პოსტდოქტორანტია პირი, რომელიც კონკრეტული სამეცნიერო-კვლევითი პროექტის განსახორციელებლად არაუმეტეს 2 წლის ვადით, კონკურსის საფუძველზე აირჩევა ძირითად საგანმანათლებლო ერთეულში ან დამოუკიდებელ სამეცნიერო-კვლევით ერთეულში აკადემიური საბჭოს მიერ განსაზღვრული წესით. პოსტდოქტორანტად პირი შეიძლება აირჩეს მხოლოდ ერთხელ“.**

### წინადადებები თანამდებობაზე პროფესორის უვადოდ არჩევასთან დაკავშირებით

კანონის ამჟამინდელი რედაქციის 35-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, „პროფესორის თანამდებობაზე შეიძლება აირჩეს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 6 წლის გამოცდილება, **განსაკუთრებული პროფესიული ან/და სამეცნიერო მიღწევები** და რომელიც აკმაყოფილებს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წესდებით განსაზღვრულ პირობებს. **პირი პროფესორის თანამდებობაზე უვადოდ აირჩევა**. პროფესორი 5 წელიწადში ერთხელ ექვემდებარება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წესდებით დადგენილი წესით ატესტაციის გავლას.“ უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ ნორმის შინაარსში მოცემულია პირის წარსული საქმიანობის შესაფასებლად სრულიად ბუნდოვანი და არაგაზომვადი კრიტერიუმი - „განსაკუთრებული პროფესიული ან/და სამეცნიერო მიღწევები“, რაც აზრთა აბსოლუტურ სხვადასხვაობას გამოიწვევს. შემდგომ ამისა უნდა აღინიშნოს, რომ ხსენებული ნორმა საკადრო როტაციის პრინციპს ზღუდავს, ვინაიდან ასეთ თანამდებობაზე არჩეული პირი მუდმივად (5 წელიწადში ერთხელ) უნდა აკმაყოფილებდეს გარკვეულ მინიმუმს, მაშინ როდესაც ამ მინიმუმზე გაცილებით მეტს შეიძლება აკმაყოფილებდეს სხვა - პერსპექტიული, სტატუსით ქვემდგომ აკადემიურ და სამეცნიერო თანამდებობებზე წლების განმავლობაში მომუშავე პირი, რომელსაც იმის შესაძლებლობაც არ მიეცემა, რომ კონკურსის პირობებში, კონკურენციის მხრივ დაამტკიცოს საკუთარი უპირატესობა. გასათვალისწინებელია, რომ უნივერსიტეტი პროფესორის უვადო კონტრაქტის არსებობის წინააღმდეგი არ არის, იმ განსხვავებით, რომ ამ თანამდებობისათვის უშვებს, როგორც უვადო, ისე ვადიანი კონტრაქტების არსებობის შესაძლებლობას, რაც გამყარებულია სათანადო დასაბუთებით (იხ. დანართი 1). შესაბამისად, კანონის პირველი პუნქტის ის ნაწილი, რომელიც არ ეხება სახელოვნებო-შემოქმედებით უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს, ჩამოყალიბებული უნდა იქნას შემდეგი სახით: **„1. პროფესორის თანამდებობაზე შეიძლება აირჩეს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წესდებით განსაზღვრული ვადით, რომელსაც აქვს სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 6 წლის გამოცდილება, რომელიც აკმაყოფილებს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ განსაზღვრულ პირობებს. პროფესორს შესაძლებელია გაუფორმდეს უვადო შრომითი ხელშეკრულება. პროფესორისათვის ვადიანი ან უვადო შრომითი ხელშეკრულების გაფორმების პირობებს ადგენს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება. უვადო შრომითი ხელშეკრულების მქონე პროფესორი 5 წელიწადში ერთხელ ექვემდებარება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ დადგენილი წესით ატესტაციის გავლას.“.** ანალოგიური მიდგომა აუცილებლად მიგვაჩნია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების (ასევე ამ დაწესებულების ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის) დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის მთავარ-მეცნიერ თანამშრომელთან მიმართებაში და მიზანშეწონილია კანონის $37^2$ მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით - **„2. მთავარი მეცნიერ-თანამშრომლის თანამდებობის დაკავება დაწესებულების წესდებით განსაზღვრული ვადით შეუძლია პირს, რომელსაც აქვს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის არანაკლებ 6 წლის გამოცდილება და რომელიც აკმაყოფილებს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წესდებით განსაზღვრულ პირობებს. მთავარ მეცნიერ-თანამშრომელს შესაძლებელია გაუფორმდეს უვადო შრომითი ხელშეკრულება. მთავარი მეცნიერ-თანამშრომლისათვის ვადიანი ან უვადო შრომითი ხელშეკრულების გაფორმების პირობებს ადგენს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება. უვადო შრომითი ხელშეკრულების მქონე მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი 5 წელიწადში ერთხელ ექვემდებარება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ დადგენილი წესით ატესტაციის გავლას.“.**

### წინადადებები დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სამეცნიერო საბჭოს არჩევასთან დაკავშირებით

კანონის 292 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, „დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის მთავარი მეცნიერ-თანამშრომლები ქმნიან დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სამეცნიერო საბჭოს.“, რაც, ჩვენი აზრით, არამართებულია, ვინაიდან დღევანდელი მდგომარეობით სხვადასხვა დამოუკიდებელ სამეცნიერო-კვლევით ერთეულებში მთავარი მეცნიერ-თანამშრომლების რაოდენობა განსხვავებულია (ზოგან ძალიან მცირეა, ზოგან კი დიდი) და ხსენებული ამ თანამდებობის მქონეთა სამეცნიერო საბჭოში შეყვანის ან შეყვანისგან თავის შეკავების გამო გამოიწვევს მათი რაოდენობის ხელოვნურ ცვალებადობას. სასურველია დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სამეცნიერო საბჭო შედგებოდეს არა მხოლოდ მთავარი მეცნიერ- თანამშრომლებისაგან, არამედ არსებობდეს შესაძლებლობა, რომ მთავარ მეცნიერ- თანამშრომლებთან ერთად, სამეცნიერო საბჭოში შედიოდეს უფროსი მეცნიერ- თანამშრომელიც, რომელსაც უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესით აირჩევს ინსტიტუტი. ხსენებულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია 292 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: **„1. დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სამეცნიერო საბჭო აირჩევა დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სამეცნიერო პერსონალის მიერ, მთავარი და უფროსი მეცნიერ-თანამშრომელთაგან, დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის დებულებით განსაზღვრული წესით. სამეცნიერო საბჭოს წევრთა ოდენობა და სამეცნიერო საბჭოს არჩევის პროცედურა მტკიცდება სამეცნიერო პერსონალის საერთო კრების მიერ“.**

### საბაზო, ინსტიტუციური დაფინანსების არსებობაზე

აქვე გვინდა დავძინოთ, რომ სასწავლო საქმიანობა და სამეცნიერო კვლევა უწყვეტი პროცესია და შედეგზეა ორიენტირებული, შესაბამისად, მისი მდგრადობისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება იმ მინიმალურ (საბაზო) დაფინანსებას, რაც ამ პროცესების შეუფერხებელ მიმდინარეობას უზრუნველყოფს. ამასთან, როგორც წესი, პროგრამული (საპროექტო) დაფინანსება და სწავლებისათვის განსაზღვრული საგრანტო დაფინანსება არ იძლევა უნივერსიტეტის უწყვეტი ფინანსირების გარანტიას და მხოლოდ მისი არსებობა არ წარმოადგენს სწავლებისა და მეცნიერების დაფინანსების მართებულ პრინციპს, მითუმეტეს, რომ სახელმწიფოს მიერ გრანტის სხვადასხვა სახეობებით დაფინანსებული სწავლის საფასური, დღეს არსებული სოციალური მდგომარეობიდან გამომდინარე, არასაკმარისია, განსაკუთრებით ისეთ მიმართულებებზე სწავლების დასაფინანსებლად, როგორიცაა მედიცინა, საბუნებისმეტყველო მეცნიერებები და სხვა. შესაბამისად, სწავლებისა და სამეცნიერო კვლევითი პროცესის ხელშეწყობისა და განვითარებისათვის აუცილებლად მიგვაჩნია საბაზო, ინსტიტუციური დაფინანსების არსებობა. ზემოხსენებულიდან გამომდინარე, სასურველია „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონმა ასახოს გარკვეული სამომავლო სამართლებრივი საფუძვლები ამ მიმართულებით და მასში დაფიქსირებული იქნას, რომ სახელმწიფოს მიერ დაფუძნებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს გააჩნიათ გარკვეული სახეობის დაფინანსების წყაროები სახელმწიფო ბიუჯეტიდან, მათ შორის საბაზო (ინსტიტუციური) დაფინანსება, რომელიც გათვალისწინებული იქნება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში 2018 წლიდან, ხოლო საქართველოს მთავრობის მიერ კი შემუშავებული იქნას სახელწიფოს მიერ დაფუძნებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ინსტიტუციური დაფინანსების წესი. აქედან გამომდინარე, სასურველია კანონი ითვალისწინებდეს შემდგომ ჩანაწერებს: **„გარდა ამ კანონით განსაზღვრული დაფინანსების სახეობებისა, სახელმწიფოს მიერ დაფუძნებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას აქვს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული ინსტიტუციური დაფინანსება, რომლის ოდენობა და გაცემის წესი დგინდება საქართველოს მთავრობის მიერ“**, ხოლო, სავარაუდოდ, კანონის გარდამავალ დებულებებში უნდა დაფიქსირდეს სამართლებრივი ნორმა იმის თაობაზე, რომ ზემოხსენებული დებულება ძალაში შედის 2018 წლიდან.

წინამდებარე მოსაზრება კანონში განსახორციელებელი ცვლილებების თაობაზე, უნივერსიტეტის რექტორის დავალებით, შედგენილია თსუ-ის იურიდიული დეპარტამენტის მიერ.

უნივერსიტეტი საზოგადოებას ამ ინიციატივების ღია რეჟიმში განხილვისთვის იწვევს.

---

# ყველაზე დიდი დანაშაული ინერტულად ყოფნაა და მიდგომა – „რაც მოხდება და მოხდეს“

*მეორე გვერდიდან*

დეგობაში არ მოდის უნივერსიტეტის ავტონომიასთან.

აკადემიურ საბჭოს შესახებ ჩვენ მინისტრის მოადგილესთან არ გვქონია საუბარი, რადგან მარტივად, რომ ვთქვათ ეს არ იყო მისი საქმე. ვესაუბრეთ თითმმართველობაზე და „ოდეერზე“. ბუნებრივია საუბარი გვქონდა სისტემურ გარდაქმნებზე, რომელიც შეეხება არჩევის წესის, რაოდენობის ცვლილებებს და ა.შ სამინისტროს პოზიცია იყო ის, რომ დაწყებული აქვთ მუშაობა კანონში ცვლილებების შესატანად, რომელიც გულისხმობს აკადემიური საბჭოს წევრების რაოდენობის ზრდას.

ჩვენს კანონში ბევრი პრობლემა არსებობს, თუ რექტორს ირჩევს აკადემიური საბჭო, რომელიც დაკომპლექტებულია 15 კაცით უკვე შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს არ არის დემოკრატიული იმ უნივერსიტეტში, სადაც 22 ათასი სტუდენტი სწავლობს და ბევრი პროფესორია. რაც, შეეხება რექტორის მოვალეობის შემსრულებელს, მას უკვე ყველა ირჩევს. ჩვენ ფიქრობთ,რომ აუცილებელია გაიზარდოს ჩართულობა, რომელიც გამოიწვევს ამ პროცესების გაჯანსაღებას. ის რომ დღეს უნივერსიტეტში არის ასეთი სიტუაცია არის იმის ბრალი, რომ ადამიანები უკვე წლებია არიან აკადემიურ საბჭოში და აღარ შესწევთ ძალა ცვლილებების და ვერც იმას ხვდებიან, რომ წავიდნენ სახლში. პირდაპირ შეიძლება ითქვას, რომ დღეს უნივერსიტეტში არის კლანური მმართველობის და კლანებს შორის დაპირისპირება თუნდაც აკადემიურ საბჭოში.

**– ეს მეტი ჩართულობა მხოლოდ რაოდენობამ უნდა უზრუნველყოს თუ კიდევ არის ცვლილებები, რომელიც შექმნის ამის წინაპირობას?**

როგორც ცნობილია,“ აუდიტორია 115“ გადავიდა სამუშაო რეჟიმზე. შექმნილია საბჭოები და კომიტეტები, სადაც ვმუშაობთ სხვადასხვა პრობლემურ საკითხზე და ჩვენ გვინდა,რომ უნივერსიტეტს შევთავაზოთ პრობლემათა გადაჭრის ჩვენეული ხედვა.

**– თვლით თუ არა, რომ თქვენ წარმოადგენთ 22 ათას სტუდენტს სრულად, და თვლით თუ არა რომ არიან კიდევ ჯგუფები, რომლებიც არ იზიარებენ ასევე წარმოადგენენ სტუდენტებს და არ იზიარებენ თქვენს პოზიციას?**

– ბუნებრივია, არ მგონია, რომ ჩვენ ვართ ის ჯგუფი, რომელიც ყველა სტუდენტის ხმას წარმოვადგენთ. სხვა ჯგუფის შესახებ არ მსმენია, თუმცა, არსებობის შემთხვევაში, ამას მხოლოდ და მხოლოდ თუ გაჩნდება სხვა ჯგუფები, რომლებიც სხვადასხვა პრობლემურ საკითხზე ისაუბრებენ, კარგია. ჩემი აზრით, ყველაზე დიდი დანაშაული ინერტულად ყოფნაა და მიდგომა - „ რაც მოხდება და მოხდეს“. ეს ყველაზე მეტად ლექტორებს ეხებათ, რომლებიც, როგორც წესი, თავს იკავებენ, თუნდაც პოზიციის დაფიქსირებისგან. მათ ურჩევნიათ, რომ დამთავრდება ყველაფერი, შემდეგ შეაფასონ მოვლენები. უნივერსიტეტი რომ არის ამ დღეში, ზუსტად ასეთი გულგრილი ადამიანების დამსახურებაა.

---

# „პრობლემა როგორც პერსონებშია, ისე მმართველობის არჩევის წესში“

*მეორე გვერდიდან*

– მე მივიღე გამოცდილება საპროექტო მენეჯმენტის და ადამიანებთან ურთიერთობის კუთხით. მიღირდა ეს წლები აქ ყოფნა და წლები რომ უკან დაბრუნდეს იგივეს ვიზამდი, მიუხედავად იმისა, რომ ძალიან ბევრი კრიტიკის ქარცეცხლში მივლია და შეურაცხყოფაც მიმიღია მაგრამ, ამავე დროს, მიმიღია ბევრი მადლობაც. კრიტიკა უფრო ადვილია. დარწმუნებული ვარ რომ იმ ადამიანების უკან ვინც თვითთმმართველობის გაუქმებას ითხოვა, დგას ადამიანთა უფრო დიდი ჯგუფი, რომელიც ამ მოსაზრებას არა თუ არ ეთანხმება, დარწმუნებული ვარ, საკითხი დღის წესრიგში რომ დადგეს -შეეწინააღმდეგება კიდეც.

**– რატომ არ ისმის ამ ადამიანების ხმა? თქვენ საინფორმაციო ომიც წააგეთ.**

– წავაგეთ იმიტომ, რომ ბევრი ადამიანი ვინც ასე ვთქვათ კორდონს მიღმა იდგა, იყვნენ ჟურნალისტები, ან ადამიანები, რომლებიც გამობრძმედილები იყვნენ აქციების ჩატარებაში და იციან საზოგადოებას რა და როგორ მიაწოდონ. ისინი სულ ცოტა ხნის წინ ჩამოვიდნენ ტყიბულიდან. ჩვენ არ გვქონდა ასეთი გამოცდილება. თვითმმართველობა ტრადიციულად იყო რექტორის მეგობარი, ადმინისტრაციის მეგობარი, ყავდა პოლიტიკური ზურგი. ჩვენ ყველაფერ ამაზე უარი ვთქვით. დღეს, ყოველ შემთხვევაში მე ასე ვთვლი, თვითმმართველობა არის სტუდენტების მეგობარი. ჩვენ ვიყავით ორიენტირებული რომ არ მომხდარიყო ფიზიკური დაპირისპირება და მიუხედავად გარკვეული დაძაბულობისა, ეს შევძელით. ჩვენ გვქონდა აქციები სახელმწიფო საქმიანობის გაპროტესტების სახით. თუ ასეთი პრეცენდენტი თვითმმართველობის მონაწილეობით ვინმეს ახსოვს, ვთხოვ მეც გამახსენოს.

გარდა ამისა, პასიური ადამიანების რიცხვი ჩვენ უნივერსიტეტში არის დიდი. ესენი არიან ის ადამიანები, რომლებიც ჩვეულებრივად დადიან და სარგებლობენ მომსახურებით, მაგრამ საქმე საქმეზე რომ მიდგება, ამჯობინებენ იყვნენ ჩუმად. ასეთი ადამიანების რაოდენობა უფრო დიდია ვიდრე ჩვენი ან მეორე მხარის მხარდამჭერების. 22 ათასი სტუდნეტიდან რამდენი იყო ჯამში გამოსული აქციებზე თსუდან? ჯამში 2 ათასი?

**– როგორ ფიქრობთ, რამდენად წარმოადგენთ 22 ათასის სტუდენტის ინტერესებს?**

– საპროექტო აქტივობის კუთხით 2015 წელს თვითმმართველობის პროექტებში ჩართული იყო 12 ათასზე მეტი სტუდენტი ფაკულტეტებზე, ხოლო ჯამში 27 000 მდე. გარდა ამისა, ფაკულტეტის საბჭოებშიც, წარმომდგენლობით საბჭოში, სტუდენტებისთვის მნიშვნელოვანი ბევრი საკითხი რქებით გამიტანია.

**– შეხების წერტილი რა არის „აუდიტორია 115“-ის წევრებთან? რაზე შეიძლება შეთანხმდეთ?**

– მე ბევრ შეხების წერტილს ვხედავთ. ვფიქრობ ის, რომ ჯერ აკადემიური საბჭოს გადადგომას ითხოვენ და მერე რექტორის, არ ნიშნავს, რომ ეს წინააღმდეგობაში მოდის. სპეცსამსახურების მუშაობის საკითხის შესწავლა თსუ-ში და საპარლამენტო კომისიის შექმნის საკითხიც შეიძლება საერთო გვქონდეს. მესამე, არ ვთვლი, რომ რამე გვაპირისპირებს. მაქვს ჩემი ინიციატივები, უნდა მოისმინონ მათიც და ეს რუპორიდან რუპორში ყვირილით არ უნდა ხდებოდეს.

---

# ვლადიმერ პაპავა: „ყველაზე მთავარი არის ის, რომ ახალგაზრდებმა აჩვენეს თავიანთი ინტერესი უნივერსიტეტისადმი...“

*მესამე გვერდიდან*

ნი სტუდენტები არიან. მათ აქვთ სრული უფლება ჰქონდეთ თავიანთი შეხედულება და ისინი არიან გარკვეულწილად გულგატეხილები. შეიძლება ამის საფუძველი მათ ჰქონდეთ, მაგრამ მერწმუნეთ, რომ ჩემი დამოკიდებულება მათ მიმართ არის ისეთივე, როგორც ნებისმიერი სტუდენტის მიმართ. რაც შეეხება, „აუდიტორია 115-ს“ - ისინიც ჩვენი სტუდენტები არიან; შეიძლება რაღაც საკითხები მე ბოლომდე ვერ გავიგე, რისი მიზეზიც შესაძლოა თუნდაც თაობებს შორის განსხვავებული აზროვნება იყოს, მაგრამ ვთვლი, რომ ისინი ძალიან გულანთებული ახალგაზრდები არიან. ის, რომ კრიტიკის მუხტი არსებობს, ეს პოზიტიურია. ასეც უნდა იყოს. ჩვენ მაქსიმალურად მზად ვართ მოვუსმინოთ ყველა მხარეს და რაც ნელ-ნელა შეგვიძლია სრულვყოთ ჩვენი ინიციატივები საკანონმდებლო ცვლილებებთან დაკავშირებით, რომელიც ამ დღეებში გამოვაქვეყნეთ.

გაზეთი მომზადდა თსუ საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის მიერ. საკონტაქტო ინფორმაცია – ტელ: 2 22 23 91; ელ.ფოსტა: tsupr@tsu.ge; ვებ-გვერდი: www.tsu.edu.ge